



ენერჯეტიკის ბაზრის მიმოხილვა

2024 წლის პირველი კვარტალი

ენერჯეტიკა
2024 წლის I კვარტალი
27 მაისი 2024

2024 წლის პირველი კვარტლის ძირითადი სიახლეები

2024 წლის პირველ კვარტალში ენერჯეტიკის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 2.2%-ით გაიზარდა. ზრდა ძირითადად საცალო მოხმარებლებმა განაპირობა, რომელთა მოთხოვნაც წლიურად 4.7%-ით გაიზარდა და ჯამური მოხმარების 57.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად, წლიურად 10.0%-ით გაიზარდა თვითმომხმარებლის მიერ მიწოდებული ენერჯეტიკის მოცულობა, ხოლო ეკსპორტის მიწოდება მცირედით წლიურად 1.0%-ით გაიზარდა. ამასთან, პირდაპირი მოხმარებლების მოხმარების კლების ტენდენცია ნარჩუნდება და 2024 წლის პირველ კვარტალში წლიურად 3.3%-ით შემცირდა.

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის
ხელმძღვანელი
evabochoreshvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.8036

მარიამ ჩახვაშვილი

სექტორის უფროსი
mchakhvashvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.7897

სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი
s.kurashvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.3654

ადგილობრივი გენერაცია წლიურად 6.7%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტის მოცულობა 27.0%-ით შემცირდა. ეს დინამიკა ჰიდროსადგურების მზარდი გენერაციის შედეგია (+41.2% წლიურად), რაც, თავის მხრივ, უხვი ნალექის დამსახურებაა. ვინაიდან მზარდი იყო ჰიდროგენერაცია, დაიკლო თბოსადგურების საჭიროებამ. შედეგად, თბოგენერაცია 2024 წლის პირველ კვარტალში წლიურად 26.2%-ით შემცირდა და ჯამური გენერაციის 30.9% შეადგინა.

სხვა სიახლეები:

- 2024 წლის პირველი ივლისიდან ენერჯეტიკული ბირჟის ეტაპობრივი გახსნა დაანონსდა (გვერდი 2)
- გამოცხადდა განახლებადი სიმძლავრის მეორე აუქციონის შედეგები (გვერდი 2)
- ეკონომიკის სამინისტროს ახალი ინიციატივით, განახლებადი სიმძლავრის შემდეგი აუქციონები აღარ გამოცხადდება და პროექტების განხორციელებაზე გაფორმდება შემორანდუმები სახელმწიფოსთან (გვერდი 3)
- საბალანსო ენერჯეტიკის მოცულობამ 1.1 ტვტ.სთ შეადგინა (+45.5% წ/წ). ზრდა, ძირითადად, თბოსადგურებისთვის გაძვირებული ბუნებრივი აირის შედეგი იყო (გვერდი 8)



ენერგეტიკული ბირჟის გახსნა

ენერგეტიკული ბირჟა 2024 წლის პირველ ივლისს, ექვსჯერ გადავადების შემდეგ, ფუნქციონირებას დაიწყებს. ამ ეტაპზე, კანონქვემდებარე აქტებში ცვლილება არ შესულა, თუმცა აქტიურად განიხილება ბაზრის ეტაპობრივად ამოქმედება და სრულ გახსნას, სავარაუდოდ, რამოდენიმე წელი დასჭირდება. პირველ ეტაპზე, ვაჭრობა შესაძლოა ნებაყოფლობითი იყოს და მასში მონაწილეობას მიიღებენ ტრეიდერები, თავისუფალი მიმწოდებლები, ელექტროენერჯის მწარმოებლები და მსხვილი/პირდაპირი მომხმარებლები. სემეკის თავმჯდომარის განცხადებით, შემდეგი ეტაპები სავალდებულო დღიური ბაზარი, ბოლოს კი საათობრივი ბაზარი იქნება. სექტორის მოთამაშეები ბირჟის ეტაპობრივად ამოქმედებას მიესალმებიან და მიიჩნევენ, რომ ერთიანი ამოქმედება ნაჩქარევი იქნებოდა არსებული რისკების გათვალისწინებით.

ბაზრის ამოქმედებამდე კვლავ რჩება რამოდენიმე ბუნდოვანი საკითხი. 1) სექტორის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია გაიყიდება თუ არა იმპორტირებული ელექტროენერჯია ბირჟაზე. მათი მოლოდინით, ბირჟაზე მოხვედრილი იმპორტირებული ელექტროენერჯია ტარიფს გაზრდის. 2) მნიშვნელოვანია ცხადი პოლიტიკა უბალანსობის მიმართ. ახალი ბაზრის მოდელის მიხედვით, უბალანსობაზე პასუხისმგებელ პირს (როგორც მწარმოებელს, ასევე მომხმარებელს) ფინანსური ჯარიმა ეკისრება, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია რა მიდგომა ექნება სახელმწიფოს პირველ ეტაპზე,

სიმძლავრის აუქციონი

გამოცხადდა განახლებადი ენერჯის სიმძლავრის მეორე აუქციონის შედეგები. წინა აუქციონისგან განსხვავებით, ამჯერად აუქციონი ასევე მოიცავდა სადგურებს, რომლებსაც აქვთ რეგულირების საშუალება. აღსანიშნავია, რომ აუქციონზე დაფიქსირდა მაღალი აქტივობა. გამოცხადებული იყო 800 მგვტ სიმძლავრის აუქციონი და წარმოდგენილი იყო 147 პროექტი (ჯამური დადგმული სიმძლავრით 1,915.76 მგვტ), აქედან, შეფასების ეტაპზე გადავიდა 144 პროექტი (ჯამური დადგმული სიმძლავრით 1,865.31 მგვტ). მედიანური ტარიფები სადგურის ტიპის მიხედვით იყო შემდეგნაირი:



ცხრილი 1: სიმძლავრის მეორე აუქციონის შედეგები

სადგურის ტიპი	გამოცხადებული სიმძლავრე, მგვტ	წარდგენილი პროექტების ჯამური სიმძლავრე, მგვტ	მედიანური ტარიფი, აშშ ცენტი
ჰიდრო მოდინებაზე	100	223.91	6.50
მარეგულირებელი ჰიდრო	300	229.84	
1-4 სთ	50		7.50
4-8 სთ	100		7.74
8სთ>	150		10.35
ქარი	125	634.30	6.00
ქარი შემნახველით	70	190.40	8.60
მზე	125	425.16	5.60
მზე შემნახველით	70	153.50	6.39
სხვა განახლებადი	10	8.20	15.35

წყარო: ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

CFD პრინციპის მიხედვით, გამარჯვებული კომპანიები ესკოსგან მიიღებენ დღით-ადრე ბაზარზე დაფიქსირებულ ფასსა და კონტრაქტით განსაზღვრულ ფასს შორის სხვაობას. წინა აუქციონის შედეგებიდან გამომდინარე, კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება და დაკონკრეტდა, რომ თუ დღით-ადრე ბაზარი არ გაეშვა სადგურის ექსპლუატაციაში შესვლამდე, ESCO სრულად აანაზღაურებს CFD-ს მოცულობას, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ **ბაზრის ამოქმედებამდე PPA-ს პრინციპი იქნება გამოყენებული.**

განახლებადი ენერჯის სიმძლავრის აუქციონი აღარ გამოცხადდება, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად სამი აუქციონის გამოცხადება იყო დაგეგმილი. ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, სამინისტროს მხრიდან პროექტების განხილვის პროცესი გამარტივდება და ცალკეულ პროექტებს აუქციონის გარეშე, მემორანდუმის გზით შეეძლება სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმება. ინიციატივის მიხედვით, მეორე აუქციონზე მიღებული მედიანური ტარიფი განისაზღვრება, როგორც კონკურენტულ პირობებში მიღებული ფასი და მემორანდუმის პირობები მასზე იქნება დაფუძნებული.

სექტორის მოთამაშეები მემორანდუმის გაფორმებამდე აუქციონის ტარიფების გადახედვას ემხრობიან. მათი თქმით, ზოგი სადგურის შემთხვევაში დადგენილი ტარიფი რეალისტური არ არის. მაგალითისთვის, ჰიდროსადგურების შემთხვევაში, მედიანური ტარიფი დადგინდა 2 მგვტ-მდე სადგურების განაცხადების გათვალისწინებითაც, რომელთა ბიზნეს მოდელი და ხარჯები უფრო მსხვილი სადგურებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.



ელექტროენერჯის მოთხოვნა, მიწოდება და ფასები


მიწოდება: 2024 წლის პირველ კვარტალში ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯის საერთო მოცულობამ 3.8 ტვტ.სთ შეადგინა. აქედან 2.1 ტვტ.სთ (ჭამურის 56.9%) ჰესების გამომუშავება იყო, 1.2 ტვტ.სთ (ჭამურის 30.9%) თბოსადგურების, 0.02 ტვტ.სთ (ჭამურის 0.5%) ქარის სადგურის, ხოლო 0.4 ტვტ.სთ (ჭამურის 11.6%) იყო ელექტროენერჯის იმპორტი.

მოთხოვნა: ქსელში მიწოდებული 3.8 ტვტ.სთ-დან, ადგილობრივმა მოხმარებამ საბითუმო დონეზე 3.6 ტვტ.სთ (ჭამურის 95.7%) შეადგინა, 0.02 ტვტ.სთ (ჭამურის 0.5%) გავიდა ექსპორტზე, ხოლო 0.1 ტვტ.სთ (3.8%) დაიკარგა ქსელში ტრანსპორტირებისას.

ელექტროენერჯის მოხმარება

2024 წლის პირველ კვარტალში ელექტროენერჯის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 2.2%-ით გაიზარდა. მატება, ძირითადად, საცალო მომხმარებლების გაზრდილი მოთხოვნის (+4.7% წ/წ) შედეგი იყო. პირდაპირი მომხმარებლების მოხმარება კვლავ დაღმავალ ტრენდს ინარჩუნებს და წლიურად 3.3%-ით შემცირდა. ეს კლება ძირითადად განპირობებული იყო ფეროშენადნობების და მეტალების წარმოების შემცირებით. კლების ტრენდი 2023 წელს დაიწყო, როცა გლობალურ ბაზრებზე ფეროშენადნობების ფასი თანდათანობით მცირდებოდა. ფასების კლება კვლავ გრძელდება და უახლოეს თვეებში ამ ტრენდის ცვლილება მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, ადგილობრივი ელექტროენერჯის ბაზარზე 2024 წლის პირველ ნახევარში პირდაპირი მომხმარებლების მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდა არ არის მოსალოდნელი.

გრაფიკი 1: ელექტროენერჯის მოხმარება საბითუმო მომხმარებლების მიხედვით, ტვტ.სთ.



წყარო: სემეკი, გალტ & თავარტი

შენიშვნა*: საცალო მოხმარებაში შედის თელასის, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმიკოს და ეპ ჯორჯია მიწოდების ელექტროენერჯის ჯამური მოხმარება.

შენიშვნა**: ეპ ჯორჯია და თელმიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით. პირდაპირ მომხმარებლად სავალდებულოდ რეგისტრაციის კრიტერიუმია 0.4 გვტ.სთ საშუალო-თვიური მოხმარება

ცხრილი 2: ელექტროენერჯის მოხმარების დინამიკა, 1კვ24

მომხმარებელი	წლიური ზრდა	წილი ჯამურ მოხმარებაში
შიდა მოხმარება	+2.2%	100.0%
აფხაზეთის რეგიონი	+1.3%	23.2%
პირდაპირი მომხმარებლები	-3.3%	19.5%
საცალო მომხმარებელი	+4.7%	57.3%
ენერგო-პრო ჯორჯია და ეპ ჯორჯია მიწოდება	+1.0%	32.6%
თელასი და თელმიკო	+10.0%	24.6%




ელექტროენერჯის გენერაცია

2024 წლის პირველ კვარტალში ელექტროენერჯის ადგილობრივი გენერაცია და იმპორტი წლიურად 1.3%-ით გაიზარდა. ჯამური მიწოდების 56.9%-ს ჰიდრო სადგურები შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ჰიდროგენერაცია წლიურად 41.2%-ით გაიზარდა 2024 წლის პირველ კვარტალში. მათ შორის, მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი როგორც ენგური-ვარდნილის (+87.4% წ/წ), ასევე სხვა მარეგულირებელი ჰესების (+54.6% წ/წ) გენერაცია. მიწოდების 30.9% თბოსადგურების გენერაციით დაკმაყოფილდა, 0.5% ქარის ელექტროსადგურებით, დარჩენილი 11.6% კი - იმპორტით.

2024 წლის პირველ კვარტალში მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც იმპორტის, ასევე თბოგენერაციის მოცულობა - იმპორტი წლიურად 27.0%-ით 0.4 ტვტ.სთ-მდე, ხოლო თბოგენერაცია წლიურად 26.2%-ით 1.2 ტვტ.სთ-მდე შემცირდა. ორივე კომპონენტის კლება მზარდი ჰიდროგენერაციის შედეგია, რაც, თავის მხრივ, უხვი ნალექის დამსახურებაა. ვინაიდან ჰესებმა შეძლეს საჭირო მიწოდების უზრუნველყოფა, აღარ იდგა არც თბოსადგურების და არც იმპორტის მნიშვნელოვანი საჭიროება. აღსანიშნავია, რომ იმპორტირებულ ელექტროენერჯიაში 95.3% რუსეთიდან იმპორტს უჭირავს, რომელიც სრულად აფხაზეთის რეგიონისთვის იყო განკუთვნილი.

გრაფიკი 2: ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი

ცხრილი 3: მიწოდება, 1კვ24


მიწოდება	წლიური ზრდა, % მიწოდებაში	წილი
ჯამური მიწოდება	+1.3%	100.0%
იმპორტი	-27.0%	11.6%
ადგილობრივი გენერაცია	+6.7%	88.4%
თბოსადგურები	-26.2%	30.9%
ქარის სადგურები	-6.5%	0.5%
ჰესები	+41.2%	56.9%
ენგური-ვარდნილი	+87.4%	12.1%
სხვა რეგ. ჰესები	+54.6%	24.2%
დერეგულირებული ჰესები	+13.4%	20.7%



საგარეო ვაჭრობა - ექსპორტი და ტრანზიტი


ელექტროენერჯის ფასი თურქეთის ბაზარზე 2023 წლის განმავლობაში მცირდებოდა და ტრენდი 2024 წლის პირველ კვარტალშიც გრძელდება. 2023 წლის ექსპორტის სეზონზე, აპრილ-ივნისში, საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 8.8 აშშ ცენტი იყო, ხოლო 2022 წლის საექსპორტო სეზონზე (აპრილ-სექტემბერი) ფასმა კვტ.სთ-ზე საშუალოდ 15.1 აშშ ცენტი შეადგინა. 2024 წლის პირველ კვარტალში თურქეთში ელექტროენერჯის საშუალო ფასი 6.7 აშშ ცენტი იყო.

გრაფიკი 3: თურქეთის ბაზარზე საშუალო წლიური ფასი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი


გრაფიკი 4: თურქეთის ბაზარზე საშუალო თვიური ფასი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

თურქეთის ბაზარზე შემცირებული ფასებმა ამ ბაზრის მიმზიდველობა შეამცირა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ადგილობრივი ფასები პანდემიამდელ ფასებთან შედარებით კვლავ მცირედით მაღალია, ამ ეტაპზე, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა სატრანზიტო მიმზიდველობის შესანარჩუნებლად. 2024 წლის პირველ კვარტალში საქართველოს გავლით თურქეთში 0.3 ტვტ.სთ ელექტროენერჯის ტრანზიტი განხორციელდა, რომელიც სრულად აზერბაიჯანიდან მოდიოდა.

გრაფიკი 5: თურქეთში ელექტროენერჯის ტრანზიტი, გვტ.სთ



წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი




2024 წლის პირველ კვარტალში ელექტროენერჯის ექსპორტი, ტრადიციულად, უმნიშვნელო იყო. ჭამურმა ექსპორტმა 0.02 ტვტ.სთ შეადგინა (მოთხოვნის 0.5%), საშუალო საექსპორტო ფასი კი 6.2 აშშ ცენტი დაფიქსირდა (-4.3% წ/წ).

ელექტროენერჯის იმპორტი


2024 წლის პირველ კვარტალში ელექტროენერჯის იმპორტი წლიურად 27.0%-ით შემცირდა. საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტმა 0.4 ტვტ.სთ შეადგინა (ჭამური მოთხოვნის 11.6%). იმპორტირებულ ელექტროენერჯიაში უმეტესობა, 95.3% რუსეთიდან მოდიოდა, დანარჩენი 4.7% კი - აზერბაიჯანიდან. აღსანიშნავია, რომ საშუალო საიმპორტო ფასი პირველ კვარტალში წლიურად 233.5%-ით გაიზარდა და 0.4 აშშ ცენტი შეადგინა. ზრდა გასული წლის დაბალი ბაზის გამო იყო, როცა იმპორტი მხოლოდ რუსეთიდან აფხაზეთის რეგიონის მოხმარების მიზნით ხორციელდებოდა, აფხაზეთი კი ელექტროენერჯიას რუსეთიდან სპეციალურ ფასად იღებს.

გრაფიკი 6: ელექტროენერჯის იმპორტი, ტვტ.სთ და საშუალო ფასი



წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 7: ელექტროენერჯის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი




ელექტროენერჯის ფასები საქართველოში

საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობამ 1.1 ტვტ.სთ შეადგინა (+45.5% 6/6), რაც ჯამური მიწოდების 30.1%-ია. ელექტროენერჯის დანარჩენი მოცულობის ვაჭრობა ორმხრივი კონტრაქტებით განხორციელდა. საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობა ძირითადად საბალანსო ენერჯის ზრდის შედეგია, რომლის წილმაც 2024 წლის პირველ კვარტალში 27.6%-ს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებელი, გასულ წლებთან შედარებით, მნიშვნელოვანი მატებაა. ეს ზრდა ესკოს მიერ მტკვარი ენერჯისა და თბილსრესის გამომუშავებული ენერჯის გაზრდილი შესყიდვების შედეგია. ჯამურად, ამ ორი სადგურისაგან საბალანსოდ შესყიდული ელექტროენერჯის მოცულობამ 0.3 ტვტ.სთ შეადგინა, გასული წლის პირველ კვარტალში კი ეს მაჩვენებელი 0 იყო. მნიშვნელოვანი ზრდა თბოსადგურებისთვის გაძვირებული ბუნებრივი აირის შედეგია, რომლის ფასიც 143-დან 210 დოლარამდე გაიზარდა. შესაბამისად, გადაწყდა, რომ გაძვირებული ელექტროენერჯია საცალო მომხმარებლის ნაცვლად ესკოს შეესყიდა, რამაც გამოიწვია აღნიშნული ზრდა საბალანსო მოცულობაში.


საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო გასაყიდი ფასი წლიურად 1.6%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.5 აშშ ცენტი შეადგინა. თვიურ ქრილში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი მერყეობდა კვტ.სთ-ზე 5.8-5.9 აშშ ცენტის ფარგლებში. საბალანსო ელექტროენერჯის უმეტესობა (70.6%) იყო ესკოს მიერ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით (PPA) შესყიდული ენერჯია, საიდანაც 50.9 პროცენტული პუნქტი იყო გარდაბნის N2 თბოსადგური, 46.7 პროცენტული პუნქტი ჰიდროელექტროსადგურები, ხოლო დანარჩენი 2.4 პპ ქარის ელექტროსადგური. იმპორტი საბალანსო ელექტროენერჯის მხოლოდ 1.8%-ს შეადგენდა 2024 წლის პირველ კვარტალში.

გრაფიკი 8: საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობა და გასაყიდი ფასები



წყარო: სემეკი, საქსტატი, სები, გალტ & თავართი

გრაფიკი 9: საბალანსო ელექტროენერჯის მდგენელები



წყარო: სემეკი, საქსტატი, სები, გალტ & თავართი



ცხრილი 4: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ

	მაი-23	ივნ-23	ივლ-23	აგვ-23	სექ-23	ოქტ-23	ნოვ-23	დეკ-23	2023	იან-24	თებ-24	მარ-24	3თ24
სულ შიდა მოხმარება	1,029	980	1,100	1,211	937	987	1,032	1,218	13,053	1,277	1,146	1,180	3,603
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-11%	-9%	-4%	+1%	-11%	-8.3%	-8.2%	-3.3%	-7.9%	-0.4%	+1.7%	+5.8%	+2.2%
მათ შორის:													
- აფხაზეთის რეგიონი	215	163	178	199	167	199	222	288	2,703	326	251	261	838
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-15%	-11%	-10%	-3%	-9%	-7%	-8.7%	-2.9%	-10.8%	+1.5%	-1.5%	+3.6%	+1.3%
- პირდაპირი მოხმარებლები	248	238	260	257	182	204	202	229	2,779	225	233	244	702
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-29%	-27%	-17%	-13%	-36%	-30%	-26.6%	-11.2%	-25.4%	-14.7%	+5.0%	+1.4%	-3.3%
- საცალო მოხმარება*	566	579	662	755	588	584	608	701	7,571	726	662	676	2,064
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+3%	+1%	+4%	+7%	+1%	+2%	+0.4%	-0.6%	+2.2%	+4.1%	+1.8%	+8.4%	+4.7%
მათ შორის:													
- ენერგო-პრო ჯორჯია და ეპ ჯორჯია მიწოდება*	335	337	392	453	356	349	357	402	4,477	417	373	386	1,176
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+1%	+0%	+4%	+5%	+2%	+2%	+0.7%	-5.3%	+1.4%	-3.1%	+1.1%	+5.7%	+1.0%
- თელასი და თელმიკო*	230	242	270	301	232	235	251	299	3,094	309	289	290	888
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+6%	+3%	+4%	+12%	+1%	+4%	-0.0%	+6.4%	+3.2%	+15.7%	+2.6%	+12.2%	+10.0%
სულ გენერაცია	1,325	1,368	1,541	1,462	1,118	1,043	1,003	1,166	14,396	1,175	1,022	1,130	3,327
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-9%	-8%	+18%	+4%	-6%	+1%	-11%	+5%	+1.1%	+6%	+3%	+11%	+6.7%
მათ შორის:													
თბოსადგურები	1	2	132	162	302	429	364	378	3,446	428	342	395	1,165
%-ლი ცვლილება, ნ/წ	N/A	-46%	+4516%	-32%	-5%	+179%	-27%	-45%	+1.7%	-41%	-47%	+90%	-26.2%
ქარის სადგურები	8	5	9	7	8	7	6	6	86	5	6	8	19
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-6%	-9%	+8%	-29%	+10%	-11%	-13%	-16%	-1.6%	-33%	-2%	+20%	-6.5%
ჰიდროსადგურები	1,316	1,361	1,401	1,293	808	608	633	782	10,863	742	674	727	2,143
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-9%	-8%	8%	12%	-7%	-30%	1%	88%	+0.9%	98.1%	98.9%	-10%	+41.2%
იმპორტი	-	0	1	-	-	0	81	108	790	160	173	105.52	438
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-100%	-97%	+352%	N/A	N/A	-100%	+46%	-50%	-48.5%	-35.2%	-17%	-27.7%	-27.0%
ექსპორტი	248	341	384	196	132	0	0	0	1,468	8	4	8	20
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-7.8%	-3.0%	+235.5%	+40.1%	+41.0%	N/A	N/A	N/A	+51.2%	N/A	+206%	N/A	+1393.4%
სავაჭრო ბალანსი	248	341	384	196	132	(0)	(80)	(108)	679	(152)	(169)	(98)	(418)
ტრანზიტი	65	-	32	240	300	251	193	243	3,444	44	45	63	302
%-ლი ცვლილება, ნ/წ	N/A	N/A	-91%	-32%	-24%	-28%	-62%	-53%	+9.0%	-92%	-88%	-86%	-77.4%

წყარო: სემევი, გალტ & თაგარტი

* ეპ ჯორჯია და თელმიკო დაეუქმდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით. საცალო მოხმარებაში შედის როგორც თელასის და ენერგო-პრო ჯორჯიას, ასევე თელმიკოს და ეპ ჯორჯია მიწოდების ჯამური ელექტროენერჯის მოხმარება.



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი & ტაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კონტრაქტის მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი & ტაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბანკზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი & ტაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიზნებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილული იქნას, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომელიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი & ტაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიზნებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტიციის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი & ტაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგობა ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი & ტაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიზნებმა არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი & ტაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი & ტაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდო და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი & ტაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმვს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი & ტაგარტი და ჯგუფის ნებისმიერი წევრი შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ევა ბოჭორიშვილი evabochoishvili@gt.ge	ანალიტიკოსი დაჩი მუჯირიშვილი dmujirishvili@gt.ge
მთავარი ეკონომისტი ლამა ქავთარაძე lashakavtaradze@gt.ge	ანალიტიკოსი მარიამ ოქროპირიძე maokropiridze@gt.ge
ანალიტიკოსი უფროსი ოფიცერი გიორგი ირემაშვილი giremashvili@gt.ge	
სექტორული კვლევების განყოფილების უფროსი კახაბერ სამყურაშვილი ksamkurashvili@gt.ge	
სექტორის უფროსი მარიამ ჩახვაშვილი mchakhvashvili@gt.ge	
სექტორის უფროსი თათია მამრიკიშვილი tmamrikishvili@gt.ge	
უფროსი ანალიტიკოსი გიორგი ცქიტიშვილი g.tskitishvili@gt.ge	
უფროსი ანალიტიკოსი ზურაბ თავკელიშვილი ztavkelishvili@gt.ge	
უფროსი ანალიტიკოსი სერგი ყურაშვილი s.kurashvili@gt.ge	
ანალიტიკოსი ოთარ ცუხიშვილი otsukhishvili@gt.ge	

გალტი & ტაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge